

სს „პსლ და კმლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „პსლ და კმლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პსლ და კმლ-ს“ (ს/კ 400 279 337)

მფლობელებსა და ხელმძღვანელებს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს პსლ და კმლ-ს (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პსლ და კმლ-ს“ (ს/კ 400 279 337)

მფლობელებსა და ხელმძღვანელებს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს პსლ და კმლ-ს (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

(„ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.



(„ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს



ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს

იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის



იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.



დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

30 სექტემბერი, 2025 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

SARAS - F - 887264

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia

bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

30 სექტემბერი, 2025 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

სს „პსლ და კმლ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

შენიშვნები

აქტივები		31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	7	95,071	83,789
ძირითადი საშუალებები	6	7,496	6,309
იდენტიფიცირებული არამატერიალური აქტივი, მომხმარებელთან საკონტრაქტო ურთიერთობები		-	2,294
გუდვილი		-	3,207
არამატერიალური აქტივები	-	6	7
სულ გრძელვადიანი აქტივები:		102,573	95,606
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივები	14	3,651	3,489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	601	515
გაცემული სესხები	10	-	-
მარაგები	8	180	221
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	8,760	4,843
სულ მიმდინარე აქტივები:		13,192	9,068
მთლიანი აქტივები:		115,766	104,674
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	100	100
გადაფასების რეზერვი	-	36,505	23,957
გაუნაწილებელი მოგება	-	36,041	32,711
სულ საკუთარი კაპიტალი:		72,646	56,768
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	-	42,648	47,513
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		42,648	47,513
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	229	378
საგადასახადო ვალდებულებები	14	-	-
მიღებული ავანსები	-	244	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		473	393
სულ ვალდებულებები:		115,766	47,906
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		104,674	104,674

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის მხრიდან 2024 წლის 02 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა



სს „პსლ და კმლ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

შენიშვნები

აქტივები		31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	7	95,071	83,789
ძირითადი საშუალებები	6	7,496	6,309
იდენტიფიცირებული არამატერიალური აქტივი, მომხმარებელთან საკონტრაქტო ურთიერთობები		-	2,294
გუდივილი		-	3,207
არამატერიალური აქტივები	-	6	7
სულ გრძელვადიანი აქტივები:		102,573	95,606
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივები	14	3,651	3,489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	601	515
გაცემული სესხები	10	-	-
მარაგები	8	180	221
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	8,760	4,843
სულ მიმდინარე აქტივები:		13,192	9,068
მთლიანი აქტივები:		115,766	104,674
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	100	100
გადაფასების რეზერვი	-	36,505	23,957
გაუნაწილებელი მოგება	-	36,041	32,711
სულ საკუთარი კაპიტალი:		72,646	56,768
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	-	42,648	47,513
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		42,648	47,513
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	229	378
საგადასახადო ვალდებულებები	14	-	-
მიღებული ავანსები	-	243	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		472	393
სულ ვალდებულებები:		43,120	47,906
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		115,766	104,674

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის მხრიდან 2024 წლის 02 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა

სს „პსლ და კმლ“
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ამონაგები (მომსახურებიდან)	15	16,112	14,600
საერთო მოგება:		16,112	14,600
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	16	(14,226)	(8,919)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	-	(2)	(8)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		1,884	5,673
არასაოპერაციო შემოსავალი	18	679	546
არასაოპერაციო ხარჯი	18	(60)	(1,278)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	201	75
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	17	467	253
მოგება დაბეგვრამდე		3,171	5,269
მოგების გადასახადი ხარჯი	19	-	-
წმინდა მოგება		3,171	5,269
სხვა სრული შემოსავალი		-	-
გადაფასების რეზერვი	-	12,566	3,402
სხვა სრული შემოსავალი		15,737	8,671

სს „პსლ და კმლ“

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	20,555	27,442	47,997
წმინდა მოგება	-	-	5,269	5,269
სხვა სრული შემოსავალი	-	3,402	-	3,402
კაპიტალის ცვლილება	100	-	-	100
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	23,957	32,711	56,768
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	12,566	3,171	15,737
სხვა სრული შემოსავალი	-	(18)	159	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	36,505	36,041	72,646

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი ნაკადები	20,879	18,127
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,049)	(4,740)
დასაქმებულთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(8,057)	(2,889)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(5,297)	(6,167)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე	3,476	4,329
საბიუჯეტო გადასახდელები	(73)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	3,404	4,329
საინვესტიციო საქმიანობა		
საინვესტიციო ქონების შეძენა (მიწა და სხვა)/კაპიტალიზება	-	(7,269)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(187)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(187)	(7,269)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	100
მიღებული პროცენტები	704	242
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	704	342
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	3,921	2,598
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	(4)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	3,917	2,598
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:	4,843	7,441
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	8,760	4,843

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „პსლ და კმლ“ (შემდგომში „ჯგუფი“) სააქციო საზოგადოებაა და მდებარეობს საქართველოში. რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზირი ქ. №2/9. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია, რომლის დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა N 2-ში.

კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დირექტორი არის პაატა კაჭარავა (პ/ნ 01013009523).

2. მომზადების საფუძველი:

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის

ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფი მომგებიანია და აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 4-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში. შვილობილი არის ყველა კომპანია, რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

2024 წლის 31 დეკემბრის (2023 წლის 31 დეკემბერი) ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს საბა & ლუკა	11.12.2019	11.12.2019	100%	საიჯარო მომსახურება	საქართველო

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

კონტროლის მოპოვება შპს „საბა & ლუკაზე“ განისაზღვრა, როგორც საწარმოთა გაერთიანება და აღიარებულია შეძენის მეთოდით ფასს 3-ის შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შეძენის თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვის

მომენტში შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებული ნეტო აქტივების სამართლიანი ღირებულების გადამეტება შესყიდვის ღირებულებაზე აღიარებულია გუდვილის სახით.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი კომპანიიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განიცთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფი აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის მომხმარებლებზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია ეს მომსახურება. ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში, ამონაგების აღიარებისას მიეთითება, მთლიანი გასაწევი მომსახურების რა წილს შეადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურება, ვინაიდან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და იყენებს სარგებელს.

ეს განისაზღვრება ამოსავალი მონაცემების მეთოდების საფუძველზე, რომლებითაც ფასდება საწარმოს მიერ შესასრულებელი ვალდებულების პირობის სრულად დაკმაყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯები. თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესასრულებელ ვალდებულებას, გარიგების ფასი თითოეულ ვალდებულებაზე ნაწილდება ინდივიდუალური გასაყიდი ფასების მიხედვით.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, კომუნალური გადასახადების სახით. ჯგუფს არ აქვს ისეთი ხელშეკრულება, სადაც მომსახურების და მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების გარდა ჯგუფი არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, ჯგუფი გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას.

დაფინანსების კომპონენტები

ჯგუფის მოლოდინით, მას არ ექნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის

ვადა აღემატება ერთ წელს. ამის შედეგად, ჯგუფი არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას უპირობო საზღაურის თანხაზე (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გაცემის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც ჯგუფს მომხმარებლისგან მიღებული (ან მისაღები) აქვს. თუ მომხმარებელი ღირებულებას გადაიხდის ჯგუფისგან საქონლის ან მომსახურების მიღებამდე, მაშინ ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, როდესაც ხდება გადახდა ან წარმოშობა გადახდის ვალდებულება (რომელიც უფრო ადრე დგება). სახელშეკრულებო ვალდებულებების ამონაგებად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

ბ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულება

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრულის შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების ან სხვა მოთხოვნების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

გ) უცხოური ვალუტები

უცხოური ვალუტა და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2,9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2,6894 და ერთი ევრო 2,9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს შესაბამისი კურსით.

საკუროსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ე) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ან შენობას ან შენობის ნაწილს, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას (ამონაგებია) ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2025 წლის 20 მარტს კომპანიამ განსაზღვრა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი

სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართო მასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა -დანადგარები	5-დან 13 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ მათი ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან. თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გაყიდვის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გაყიდვიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება წმინდა გასვლის ამონაგებსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა.

თ) მარაგები

მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამება ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დასაქმებულები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ლ) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკული მიზანშეწონილობა

გამოიყენა, ჯგუფი ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს, კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ასახვით, განურჩევლად ბიზნესმოდელისა.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხოლო სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის როგორც მისი ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღების, ისე გაყიდვის მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

► ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);

► სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);

► სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

► ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და

► ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის სავაჭრო მოთხოვნები, სხვა მოკლევადიან აქტივებში ასახული სხვა ფინანსური მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

► ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;

► ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება „აქტივის გადაცემის ხელშეკრულების“ თანახმად; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმ შემთხვევაში, არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს ჯგუფის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა ჯგუფს დასჭირდეს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 360 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

მ) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და ნასესხები სახსრების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და ნასესხები სახსრების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების შემდეგ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების

აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

ნ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, და ასევე ჯგუფი აღრიცხავს აქტივის გამოყენების უფლებას და აღიარებს მას იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად).

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ვადასა ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები 1-3 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 3-5 წელი

თუ იჯარის ვადის ბოლოს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება ჯგუფს გადაეცემა, ან ხარჯი ასახავს შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, ცვეთა გამოითვლება აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მეშვეობით. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასისგან, რომლის ჯგუფის მიერ გამოყენების გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევის უფლების შეფასებაში. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები შესულია სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში და საიჯარო ვალდებულების გრძელვადიან ნაწილში.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამოწვევებს მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის

ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ეს ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასაც.

მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ო) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა

ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის. განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. გაუქმების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი გაუქმების აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუქმება აღირიცხება, როგორც აფასება.

3) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაზღაურებას, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოპერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა ჯგუფის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

ჟ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. როდესაც ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

რ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი გადააფასებს თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

► დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;

► დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

► დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ბალანსის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს

განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

ცვლილებები მოიცავს:

სს

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობა	მრავალწლი იანი ნარგავები	მანქანა- დანადგარები	ოფისის ინვენტარი ტექნიკა ავიჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2022	1,609	27	1,972	1,651	1,500	6,759
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	4	-	1,951	223	23	2,201
გადაფასების კორექტირება	46	-	-	-	-	46
ცვეთის ატრიალება	(8)	-	(1)	(5)	-	(14)
გაყიდვები/ჩამოწერა	(42)	-	(7)	(17)	-	(66)
31.12.2023	1,609	27	3,915	1,852	1,523	8,926
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	19	-	1044	66	617	
გადაფასების კორექტირება	135	-	-	-	-	
ცვეთის ატრიალება	(81)	-	-	1	-	
გაყიდვები/ჩამოწერა				(50)	-	
31.12.2024	1,682	27	4,959	1,869	2,140	8,926

ცვეთა და ამორტიზაცია

31.12.2022	-	(9)	(349)	(1,105)	(648)	(2,111)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	(80)	(2)	(231)	(125)	(172)	(572)
აფასების მომენტში ცვეთის ანულისრება	81	-	7	17	-	66
ჩამოწერის მომენტში დაგროვილ. ცვეთა	-	-	-	-	-	-
31.12.2023	-	(11)	(573)	(1,213)	(820)	(2,617)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი		(1)	(318)	(134)	(158)	-
აფასების მომენტში ცვეთის ანულისრება		-	-	50	-	-
ჩამოწერის მომენტში დაგროვილ. ცვეთა	-	-	-	-	-	-
31.12.2024	1,682	(12)	(891)	(1,297)	(978)	(2,617)

საბალანსო ღირებულება

31.12.2023	1,609	16	3,342	639	703	4,649
31.12.2024	1,682	15	4,068	572	1,162	6,309

ცვეთის ხარჯი აღიარდება ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ხარჯებში შენიშვნა N 16.

7. საინვესტიციო ქონება

ათას ქართულ ლარში	მიწა	შენობები	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვარს	35,862	42,570	78,432
დაგროვილი ცვეთა	-	(1,743)	(1,743)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	35,862	40,827	76,689
დამატებები	3,439	3,609	7,048
გასვლები	-	(2,706)	(2,706)
ტრანსფერი	1,351	785	2,136
პერიოდის ცვეთა	-	(2,220)	(2,220)
ელიმინაცია გასვლისას	-	2,842	2,842
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის	40,652	43,137	83,789
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	40,652	43,137	83,789
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის	40,652	43,137	83,789
დამატებები	9,473	3,987	13,460
გასვლები	-	(2,098)	(2,098)
ტრანსფერი	-	2,098	2,098
პერიოდის ცვეთა	-	(2,158)	(2,158)
ელიმინაცია გასვლისას	-	(20)	(20)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის	50,125	44,946	95,071
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	50,125	44,946	95,071
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის	50,125	44,946	95,071

საინვესტიციო ქონება გადაფასებული ღირებულებით ფასდება. განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფი საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აფასებს. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში.

2024 წლის 15 მარტს შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს.

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად განკუთვნილი მარაგი	2	-
მარაგები/ნედლეული და მასალები	108	158
ელექტროენერგია	42	30
სხვა სათადარიგო მარაგები	28	33
სულ მარაგი	180	221

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	607	576
სხვა მოთხოვნები	-	40
გამოკლებული გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(258)	(109)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	349	507
გადახდილი ავანსები	252	8
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბერს	601	515

სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა და, როგორც წესი, 14-დან 65 დღემდე დაფარვის პირობით. ქვემოთ მოცემულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(127)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-
ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	18
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(109)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(149)
ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(258)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სხვა მოკლევადიან აქტივებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	<30	31-60	61-90	181-360	>361	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება	297	16	7	19	28	235	603
ზარალის დონე	0.0%	10%	20%	30%	50%	100%	
საკრედიტო ზარალის რეზერვი	0	2	1	6	14	235	258

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

ვადაგადაცილების მიმდინარე		<30	30-90	91-180	181-360	>361	ჯამი	
დღეები								
სავაჭრო	მოთხოვნების	309	2	5	9	16	251	576
საბალანსო ღირებულება								
ზარალის დონე		0.1%	5%	15%	35%	50%	48%	
საკრედიტო	ზარალის	2	-	-	-	-	107	109
რეზერვი								

10. გაცემული სესხები

ათას ქართულ ლარში

სესხები დაკავშირებულ მხარეებზე

სესხები მესამე მხარეებთან

გამოკლებული გაუფასურების ზარალის ანარიცხი სესხზე

სულ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საბალანსო ღირებულება

რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები, მოგება ან ზარალში ასახვით

სულ გაცემული სესხები პერიოდის ბოლოს

31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
-	-
281	271
(281)	(271)
-	-
-	-
-	-

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	-
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	8,675	4,765
ფული სალაროში ლარში	85	78
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,760	4,843

12. კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი- მფლობელთა საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ათას ლარს.

ბ) დივიდენდები - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია ჯგუფი მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია ჯგუფის ნორმატიულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	129	133
საგარანტიო თანხები მომხმარებლების	100	114
დასაქმებულთა დარიცხული ვალდებულებები	-	131
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	229	378

სავალუტო რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა N 21.

14. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო სათვისტოს განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდაზე. შედეგად 2024-2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

01 იანვარი	2023 წელი
წლის დასაწყისში არსებული საბიუჯეტო გადასახდელი	251
წლის განმავლობაში დარიცხული გადასახდელი	5,684
წლის განმავლობაში გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	(9,424)
2023 წლის 31 დეკემბრით არსებული ვალდებულება	(3,489)

01 იანვარი	2024 წელი
წლის დასაწყისში არსებული საბიუჯეტო გადასახდელი	(3,489)
წლის განმავლობაში დარიცხული გადასახდელი	6,103
წლის განმავლობაში გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	(6,266)
2024 წლის 31 დეკემბრით არსებული ვალდებულება	(3,651)

საგადასახადო ვალდებულებები	დარიცხული	2023 წელი გადახდილი
მოგების გადასახადი	6	(24)
საშემოსავლო გადასახადი	777	(762)
დღგ	4,406	(5,480)
ქონების გადასახადი	479	(3,142)
მიწის გადასახადი	16	(16)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	5,684	(9,424)

საგადასახადო ვალდებულებები	დარიცხული	2024 წელი გადახდილი
მოგების გადასახადი	15	(10)
საშემოსავლო გადასახადი	1,947	(762)
დღგ	3,134	(3,236)
ქონების გადასახადი	508	(510)
მიწის გადასახადი	16	(15)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	5,620	(4,533)

15. ამონაგები (მომსახურებიდან)

ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით <i>ათას ქართულ ლარში</i>	2024	2023
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან	12,965	11,842
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,209	2,758
სულ ამონაგები	16,174	14,600

ჯგუფი შემოსავალს იღებს ერთი ლოკაციიდან: საქართველო, 0192, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თ. ერისთავის ქ.44./გურამიშვილის გამზირი N6, (სავაჭრო მოლი „საბა & ლუკა“). მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს მოიჯარეებისგან მიღებულ გარანტიებს, რაც დაბრუნებას არ ექვემდებარება ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან შეწყვეტის შემთხვევაში. ჯგუფი უფლებამოსილია გამოიყენოს ავანსის თანხა მოიჯარის მხრიდან დაგვიანებული გადახდის შემთხვევაში ვადის დადგომის შეტყობინების შემდეგ. მომხმარებლებისგან ავანსების მიღებიდან ამონაგებად აღიარებულია 2024 წელს 15 ათასი ლარი და 2023 წელს 30 ათასი ლარი. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარების დროები (ამონაგების თითოეული წყაროსთვის) შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2024	2023
დროის გარკვეულ მომენტში	3,209	2,758
გარკვეული პერიოდის განმავლობაში	-	-
სულ ამონაგები	3,209	2,758

დროის გარკვეულ მომენტში აღიარებული ამონაგები მოიცავს პარკინგის მოსაკრებლებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღიარებული ამონაგები მოიცავს მარკეტინგის სერვისის საკომისიოს, უსაფრთხოების, დასუფთავების და ფართის სხვა საერთო ხარჯებს.

16. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვეთის ხარჯი	(2,847)	(2,792)
დასაქმებულთა გასამრჯელოები	(9,846)	(3,777)
გასაყიდად განკუთვნილი მარაგების გაუფასურება	-	(653)
საგადასახადო ხარჯი, მოგების ხარჯის გარდა	(524)	(490)
შეძენილი მომსახურება	(434)	(301)
დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯი	(250)	(231)
გაცემული სესხების გაუფასურება	(160)	(270)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(165)	(405)
სულ ;	(14,226)	(8,919)

* საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა შეადგენს კუთვნილ ქონების და მიწის გადასახადს.

17. ფინანსური შემოსავალი (ხარჯები), წმინდა

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კონვერტაციის შემოსავალი	6	11
საპროცენტო შემოსავალი	704	242
ზარალი მიწის შემოსავალი საკურსო სხვაობიდან-მიღებული სესხებიდან	-	-
ზარალი მიწის შემოსავალი საკურსო სხვაობიდან-გაცემული სესხებიდან	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯები)	710	253
გამოკლებული დაკავშირებული ფინანსური ხარჯები	-	-
სულ მოგება ან ზარალში აღიარებული ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	710	253

* ჯგუფს საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის სახით აქვს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული აქვს საპროცენტო შემოსავალი. (საპროცენტო განაკვეთი -წლიური 12 %).

18. არასაოპერაციო შემოსავალი და არასაოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საკუთარი ელ. ენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	393	500
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	29	31
ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	463	15
აქტივის გაუფასურების შედეგი	-	(1,163)
ძირითადი საშუალების გასვლის შედეგი	(14)	(30)
სხვა ხარჯები	(51)	(85)
შედეგი:	820	(732)

19. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომლებიც იბეგრება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის გაცემულ დივიდენდებზე.

20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევს ჯგუფს სარჩელების გამო.

2024 წლის 31 დეკემბრის (2023 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი შექმნილია და ასახულია უიმედო დებიტორულ დავალიანებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

“სამართლებრივი დავა და პირობითი ვალდებულება”

2024 წლის 11 აპრილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულმა კომისიამ (კომისია) მიიღო გადაწყვეტილება შპს „საბა & ლუკას“ მიმართ, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის 100%-იან შვილობილ კომპანიას. კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, მომხმარებლის მფლობელობაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მახასიათებლები არ შეესაბამებოდა დადგენილ ტექნიკურ რეგლამენტს და შესაბამისად:

გაუქმდა 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდში ქსელში მიწოდებული 793,793 კილოვატსაათის მიმართ გამოყენებული ანგარიშწორება;

კომპანიას დაევალა შპს „საბა & ლუკას“-ისათვის ამ მოცულობაზე დაერიცხა საბოლოო მომხმარებლის სრული სამომხმარებლო ტარიფი, რომელიც შეადგენს 234,311 ლარს.

დამატებით, კომპანიას შეეზღუდა ქსელიდან მოხმარებული ელექტროენერგიის და მიწოდებული ელექტროენერგიის განეიტრალეების შესაძლებლობა, სანამ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური არ იქნება სრულად შესაბამისი რეგულატორის მოთხოვნებთან.

აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2024 წლის 5 ივლისის განჩინების საფუძველზე სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა დროებითი შეჩერების თაობაზე, რის შედეგადაც კომისიის გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტების მოქმედება შეჩერებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

კომპანიის შეფასება:

მენეჯმენტის და იურიდიული მრჩევლების შეფასებით, ამ ეტაპზე სასამართლო პროცესის შედეგი გაურკვეველია. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ფინანსური ზარალის არსებობა ან მისი ოდენობა.

აღრიცხვითი პოლიტიკის შესაბამისად და IAS 37 „დადებული ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებებისა და პირობითი აქტივების“ მოთხოვნებზე დაყრდნობით, კომპანია არ აღიარებს შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას, თუმცა ასახავს პირობით ვალდებულებას როგორც განმარტებით შენიშვნას.

კომპანია აგრძელებს დავის პროცესის მონიტორინგს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე განახორციელებს საჭირო კორექტირებებს მომდევნო ანგარიშგების პერიოდში."

დასკვა:

აღნიშნული სასამართლო დავა წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არსებით მოვლენას და პირობით ვალდებულებას, რომელიც მოითხოვს განმარტებით გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში. მენეჯმენტი აგრძელებს პროცესის მონიტორინგს და საბოლოო შედეგის მიღებისთანავე განახორციელებს საჭირო კორექტირებებს მომდევნო ანგარიშგების პერიოდში.

2022 წლის 20 დეკემბერს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა კომპანიის მიმართ შეადგინა საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზეც კომპანიას განესაზღვრა დამატებითი საგადასახადო ვალდებულება 6,397,043 ლარის ოდენობით (მოგების გადასახადი, ფიზიკური პირის საშემოსავლო, ჯარიმები და საურავები).

აღნიშნული გადასახადი დაკავშირებულია შპს „საბა & ლუკა“-ს 100% წილის 2019 წლის შეძენასთან.

შემოსავლების სამსახური კომპანიის მიერ 2020–2022 წლებში განხორციელებულ გადახდებს განიხილავს როგორც დივიდენდის განაწილებას, მაშინ როცა კომპანიის პოზიციას, რომ გადახდები წარმოადგენდა წილის შეძენის ღირებულების დაფარვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

საგადასახადო დოკუმენტის გასაჩივრება მიმდინარეობს, პროცესი დასრულებული არ არის და საბოლოო სამართლებრივი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

კომპანიის მენეჯმენტის და მისი იურიდიული მრჩეველების პროფესიული მსჯელობის საფუძველზე, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომელიც საჭიროებს IFRS-ის შესაბამისად ამ ვალდებულების აღიარებას. თუმცა, საკითხი იწვევს პირობითი ვალდებულების აღიარების მოთხოვნას IAS 37-ის შესაბამისად, როგორც არა სარწმუნო მაგრამ არსებითი სამართლებრივი რისკის მქონე მოთხოვნა.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დავა ასევე ეხება დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციას, რადგან გადახდები განხორციელდა კომპანიის აქციონერის მიმართ. შესაბამისად, შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შენიშვნაში „დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობები (იხ. შენიშვნა 25).“

21. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

რისკის მართვის ფუნქციას ჯგუფში ეკისრება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ მიმართულებებს. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქცია არის რისკის ლიმიტების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამოიხატულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი აქტივები) და ფინანსური საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით. ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შეადგენს 118,973 ლარს (2023 წ.: 104,674 ლარი). საკრედიტო რისკი ჯგუფის ბიზნესისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს სტატისტიკური მოდელების გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაჰენტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძველიან განსაზღვრას. გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანარიცხების მატრიცის გამოყენებით, რომლითაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სეგმენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს. გაანგარიშება ასახავს საშუალო შეწონილ ალბათობას, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი წარსულში მომხდარი მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება ერთ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში.

ჯგუფი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაჰენტებზე ან კონტრაჰენტების ჯგუფზე ან ცალკეულ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად გადაიხედება ხელმძღვანელობის მიერ. ამ რისკების მონიტორინგი ხდება სისტემატურად. საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად, ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანალიზი კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან მომავალი ურთიერთობა და არსებული ლიმიტები კი გადაიხედება შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაბრები აქვს განთავსებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები (ა) სავალუტო და (ბ) საპროცენტო განაკვეთების და ვალდებულებების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე.

2024	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,760	-	-	-	8,760
სავაჭრო მოთხოვნები	4	597	-	-	601
	8,764	597	-	-	9,361
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	229	-	-	-	229
	229	-	-	-	229
სავალუტო პოზიცია	8,535	597	-	-	9,132

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფის მნიშვნელოვანი რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

2023	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,743	-	-	-	4,843
სავაჭრო მოთხოვნები	40	475	-	-	515
	4,883	475	-	-	5,358
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	378	-	-	-	378
	378	-	-	-	378
სავალუტო პოზიცია	4,505	475	-	-	4,980

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის შესაბამისი ერთეულების სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალზე და კონსოლიდირებულ საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის შემთხვევაში:

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/რუბლი
	20%/-20%	20%/-20%	20%/-20%
მოგება/ზარალი	95/(95)	-	-

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი
შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	20%	20%	-20%
მოგება/ზარალი	84	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც ჯგუფი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. ჯგუფს არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს ჯგუფის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს. როდესაც ვალდებულების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

უცვლელობის შემთხვევაში:

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,760	4,843
სავაჭრო მოთხოვნები	601	515
სულ ფინანსური აქტივები	9,361	5,358
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	229	378
სესხები	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	229	378

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტდასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

22. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

23. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. ჯგუფის მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფს გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3-დან 12 თვემდე ვადით	12 თვიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი)	-	-	229	47,513	47,891
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით		-	229	47,513	47,891

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3-დან 12 თვემდე ვადით	12 თვიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი)	-	-	378	47,513	47,891
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით			378	47,513	47,891

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

24. სამართლიანი ღირებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

► თუ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე (12 თვეზე ნაკლები) ვადით ან ფინანსურ ვალდებულებებს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, მიიჩნევა, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

► ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გაცხადებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს, ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ.

დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციების ნაშთები	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები	-	50
გაყიდვები	-	-
სულ:-	-	50

დარიცხული ვალდებულება	31.12.2024	31.12.2023
ხელფასები	6,072	2,168

როგორც აღწერილია შენიშვნაში „პირობითი საგადასახადო ვალდებულება“, 2019 წელს სს „პსლ და კმლ“-მა შეიძინა შპს „საბა & ლუკა“-ს 100% წილი ფიზიკური პირი პაატა კაჭარავასგან, კომპანიის 100%-იანი აქციონერისგან. ხელშეკრულებით განსაზღვრულია გადახდების გრაფიკი.

2020–2022 წლებში განხორციელებული გადახდები (წარმოადგენდა აღნიშნული გარიგების ფარგლებში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. თუმცა, აღნიშნულ გადახდებზე აღძრულია საგადასახადო დავა, რომელიც განხილულია შენიშვნაში „პირობითი საგადასახადო ვალდებულება“ (იხ. შენიშვნა 20).

26. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც

აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

სს „პსლ და კმლ“

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2024

1. ჯგუფის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

სს „პსლ და კმლ“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაფუძნებულია 2019 წლის 11 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. „სს პსლ და კმლ“ შეიქმნა სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზირი ქ. №2/9. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337.

გენერალური დირექტორია პაატა კაჭარავა (პ/ნ 01013009523).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მისი კუთვნილი ქონების საიჯარო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე.

შვილობილი კომპანიის შემოსავლების შემოდინება სტაბილურია.

2. ჯგუფის სამომავლო გეგმები

2024 წელს ჯგუფის მთავარი მიზანი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

3. ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2024 წელს ჯგუფს კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

4. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

5. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური ინდიკატორები

- I. **ურთიერთობა თანამშრომლებთან.** ჯგუფს გააჩნია მოწესრიგებული თანამშრომელთა შერჩევის პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები.
- II. **ურთიერთობა მომწოდებელთან და კლიენტებთან.** ჯგუფს მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით.
- III. **ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან.** ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, ჯგუფზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვითცნობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტრენინგებს.

2022 წლის 20 დეკემბერს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ჯგუფის მიმართ შეადგინა საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზეც ჯგუფს განესაზღვრა დამატებითი საგადასახადო ვალდებულება 6,397,043 ლარის ოდენობით (მოგების გადასახადი, ფიზიკური პირის საშემოსავლო, ჯარიმები და საურავები).

2024 წლის 11 აპრილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულმა კომისიამ (კომისია) მიიღო გადაწყვეტილება ჯგუფის მიმართ, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის 100%-იან შვილობილ კომპანიას. კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, მომხმარებლის მფლობელობაში არსებული მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურის მახასიათებლები არ შეესაბამებოდა დადგენილ ტექნიკურ რეგლამენტს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2024 წელს ჯგუფს საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტება

- ბაზარზე წამყვან პოზიციასა და ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:
 - მომსახურება და კლიენტების კმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფის მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა კვალიფიკაციას, რომელთაგან თითოეული კარგად მომზადებული პროფესიონალია.
 - საინვესტიციო ქონების მართვა - ჯგუფს მრავალი წელია ბაზარზე წამყვანი პოზიცია აქვს.

8. ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

- **საკრედიტო რისკი.** ჯგუფში ანგარიშწორება ხორციელდება ძირითადად უნაღდო ანგარიშსწორების სახით. მოთხოვნების ამოღების პრობლემა ჯგუფს არ უდგას.
- **ლიკვიდობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წამოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფს გაუძნელდება ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შემღებობას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება.

ლიკვიდობის რისკის ფრთხილი მართვა გულისხმობს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფულის ქონასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების რაოდენობის მეშვეობით.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღება შეუფარხებლად მიმდინარეობს.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.

ჯგუფი მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **მონაცემთა უსაფრთხოების რისკი.** ჯგუფში დიდი ინფორმაცია გროვდება დამკვეთების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათებზე ინფორმაცია და ა.შ). ჯგუფი დავალებათა ავტომატიზებისა და მონაცემთა მართვისათვის ციფრულ სისტემებს იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემაში უკანონოდ შეღწევის პოტენციურ რისკს.
- **საბაზრო რისკი.** ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია
 - (ა) უცხოურ ვალუტებში;
 - (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობას.
- **საპროცენტო განაკვეთთა რისკი.** ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა

თარიღი: 30-09-2025 წ.

- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **მონაცემთა უსაფრთხოების რისკი.** ჯგუფში დიდი ინფორმაცია გროვდება დამკვეთების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათებზე ინფორმაცია და ა.შ). ჯგუფი დავალებათა ავტომატიზებისა და მონაცემთა მართვისათვის ციფრულ სისტემებს იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემაში უკანონოდ შეღწევის პოტენციურ რისკს.
- **საბაზრო რისკი.** ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია
 - (ა) უცხოურ ვალუტებში;
 - (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობას.
- **საპროცენტო განაკვეთთა რისკი.** ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა



თარიღი: 30-09-2025 წ.